მუსლიმის უფლება მუსლიმზე ექვსია», მას ჰკითხეს: რომლებია ისინი, ალლაჰის შუამავალო? მან თქვა: «თუ შეხვდები, მიესალმე მას, თუ დაგპატიჟებს მიდი მასთან, თუ რჩევას გთხოვს ურჩიე მას, თუ დააცემინა და ალლაჰი განადიდა წყალობა უსურვე მას, თუ ავად გახდა მოინახულე, თუ გარდაიცვლება დაესწარი მის გასვენებას

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მუსლიმის უფლება მუსლიმზე ექვსია», მას ჰკითხეს: რომლებია ისინი, ალლაჰის შუამავალო? მან თქვა: «თუ შეხვდები, მიესალმე მას, თუ დაგპატიჟებს მიდი მასთან, თუ რჩევას გთხოვს ურჩიე მას, თუ დააცემინა და ალლაჰი განადიდა წყალობა უსურვე მას, თუ ავად გახდა მოინახულე, თუ გარდაიცვლება დაესწარი მის გასვენებას».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტავს, რომ მუსლიმის ზოგიერთ უფლებას თავისი მუსლიმი ძმის მიმართ არის ექვსი: პირველი: უნდა მიესალმოს მას როცა შეხვდება, სიტყვებით: ''ასსალამუ 'ალეიქუმ'' - მშვიდობა თქვენ, ისიც დაუბრუნებს სალამს შემდეგი სიტყვებით: ''ვა 'ალეიქუმ ასსალამ'' - ასევე თქვენზეც იყოს მშვიდობა. მეორე: მიიღოს მისი მიწვევა, ქორწილში ან სხვა დროს. მესამე: რჩევა უნდა მისცეს თუ სთხოვს რჩევას, პირფერობა არ უნდა გქონდეს მის მიმართ, და არც მოატყუო. მეოთხე: როცა დააცემინებს და იტყვის: ''ალჰამდულილლაჰ'' ქება-დიდება ალლაჰს, წყალობა უნდა უსურვოს მას შემდეგი სიტყვებით: ''იარჰამუქა ალლაჰ'' ალლაჰმა შეგიწყალოს, ასევე ის დაუბრუნებს პასუხს სიტყვებით: ''იაჰდიიქუმუ-ალლაჰუ ვა იუსლიჰუ ბაალაქუმ'' - ალლაჰმა მოგცეთ სწორი გზა და გამოასწოროს თქვენი მდგომარეობა. მეხუთე: მივიდეს და მოინახულოს თუ ავად გახდება. მეექვსე: უნდა ილოცოს მისი განსასვენებელი ლოცვა როცა გარდაიცვალა, უნდა გაჰყვეს მლოცველებს და მიიღოს მის დაკრძალვაში მონაწილეობა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5343

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee